ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №22
2019 წლის 8 ოქტომბერი

ქ. ზესტაფონი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში ,,საპატიო ზესტაფონელისა“ და ,,ზესტაფონის საპატიო მოქალაქის” წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში შემოღებულ იქნეს საპატიო წოდებები: „საპატიო ზესტაფონელი“ და „ზესტაფონის საპატიო მოქალაქე“.

მუხლი 2

„საპატიო ზესტაფონელისა“ და „ზესტაფონის საპატიო მოქალაქის” წოდების მინიჭების წესი დამტკიცდეს დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 3

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ზესტაფონის მუნიციპალიტეტში „საპატიო ზესტაფონელისა“ და „ზესტაფონის საპატიო მოქალაქის” წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 16 აგვისტოს №18 დადგენილება (გამოქვეყნების წყარო, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.127.016331 გამოქვეყნების თარიღი 19/08/2019).

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ვახტანგ ღამბაშიძე**

დანართი №1

„საპატიო ზესტაფონელისა“ და „ზესტაფონის საპატიო მოქალაქის“ წოდების მინიჭების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. „საპატიო ზესტაფონელის” წოდება შეიძლება მიენიჭოს ზესტაფონის მუნიციპალიტეტში დაბადებულ ან/და მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეს, ხოლო „ზესტაფონის საპატიო მოქალაქის“ წოდება საქართველოს მოქალაქეს, რომელიც არ ცხოვრობს ზესტაფონში, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქესა და მოქალაქეობის არმქონე პირს ზესტაფონისათვის წლების განმავლობაში განსაკუთრებული ღვაწლისა და საგანგებო ვითარებისას გაწეული უანგარო სამსახურისათვის, განურჩევლად ეროვნებისა, სოციალური ცენზისა, საზოგადოებრივი-პოლიტიკური შეხედულებებისა და რელიგიური აღმსარებლობისა, თუ მისი მოღვაწეობა და გაცხადებული იდეები მიმართული არ არის საქართველოში დამკვიდრებული კულტურული ტრადიციების, ზნეობრივ-ეთიკური ნორმებისა და სულიერი ცხოვრების წესის წინააღმდეგ.

2. „საპატიო ზესტაფონელის” და „ზესტაფონის საპატიო მოქალაქის“ წოდება დასტურია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის, განათლების, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, ბუნებათსარგებლობისა და ეკოლოგიის შემოქმედებითი, საზოგადოებრივი და სულიერი ცხოვრების განვითარებისათვის, აგრეთვე, ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებებისათვის, უანგარო სიქველისა და სიმამაცისათვის პატივგებისა და აღიარების.

3.„საპატიო ზესტაფონელის“ წოდება შეიძლება მიენიჭოს ზესტაფონის მუნიციპალიტეტში დაბადებულ ან/და მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც თავისი საზოგადოებრივი, პროფესიული, სამეცნიერო ან/და სხვა საქმიანობით (მოღვაწეობით) აქვს:

ა) განსაკუთრებული დამსახურება ზესტაფონის ან/და საქართველოს წინაშე;

ბ) მნიშვნელოვანი წვლილი შეტანილი ზესტაფონის ან/და საქართველოს განვითარების საქმეში;

4. „ზესტაფონის საპატიო მოქალაქის“ წოდება შეიძლება მიენიჭოს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც არ ცხოვრობს ზესტაფონში, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქესა და მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელსაც თავისი საზოგადოებრივი, პროფესიული, სამეცნიერო ან/და სხვა საქმიანობით (მოღვაწეობით) აქვს:

ა) განსაკუთრებული დამსახურება ზესტაფონის ან/და საქართველოს წინაშე;

ბ) მნიშვნელოვანი წვლილი შეტანილი ზესტაფონის ან/და საქართველოს განვითარების საქმეში;

გ) მნიშვნელოვანი წვლილი შეტანილი ზესტაფონის მუნიციპალიტეტთან მეგობრული კავშირების განმტკიცებაში.

5. „საპატიო ზესტაფონელისა“ და „ზესტაფონის საპატიო მოქალაქის“ წოდება პირს მიენიჭება სიცოცხლეში ერთხელ.

6. „საპატიო ზესტაფონელის” და „ზესტაფონის საპატიო მოქალაქის“ წოდების ჩამორთმევა დაუშვებელია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, რასაც წყვეტს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. „საპატიო ზესტაფონელის” და „ზესტაფონის საპატიო მოქალაქის“ წოდების მისანიჭებლად კანდიდატურის წამოყენება

1. „საპატიო ზესტაფონელის” და „ზესტაფონის საპატიო მოქალაქის“ წოდების მისანიჭებლად კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს:

ა) მუნიციპალიტეტის მერს;

ბ) საკრებულოს თავმჯდომარეს;

გ) საკრებულოს სიითი შემადგენლობის 1/3-ს;

ე) საზოგადოებრივ, პროფესიულ და შემოქმედებით კავშირებსა და ორგანიზაციებს;

ვ) სპორტულ ორგანიზაციებს, გაერთიანებებსა და ფედერაციებს;

ზ) მოქალაქეთა ჯგუფს.

2. „საპატიო ზესტაფონელის” და „ზესტაფონის საპატიო მოქალაქის“ წოდების მისანიჭებლად კანდიდატურის წამოყენების უფლებამოსილი პირები, კანდიდატურას წარუდგენენ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის პატივგების კომისიას, რასაც წერილობითი სახით თან უნდა ახლდეს:

ა) საპატიო წოდების მისანიჭებლად კანდიდატურის წამოყენების უფლებამოსილი პირების რეკომენდაცია, სადაც უნდა წარმოჩინდეს საპატიო წოდებაზე წარდგენილი კანდიდატურის ღვაწლი და დამსახურება;

ბ) ბიოგრაფიული და დემოგრაფიული ცნობები;

გ) კანდიდატის ღირსების, ღვაწლისა და დამსახურების ამსახველი, საზოგადოებისათვის უკვე ცნობილი და საპატიო წოდებაზე წარდგენის დღემდე უცნობი დოკუმენტური და სხვა სახის მასალები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

მუხლი 3. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის კომისია

1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის პატივგების კომისიას ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე ქმნის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი.

2. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის პატივგების კომისიაში „საპატიო ზესტაფონელის“ და „ ზესტაფონის საპატიო მოქალაქის” წოდებაზე წარდგენილი კანდიდატურები განიხილება ღიად და საჯაროდ.

პატივგების დროებითი კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება არაუმეტეს 15 წევრისაგან.

მუხლი 4. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის კომისიაში კანდიდატურების განხილვა

1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის პატივგების კომისია:

ა) შეისწავლის საპატიო წოდებაზე წარდგენილი კანდიდატურის ღირსებისა, ღვაწლისა და დამსახურების შესახებ ხელთარსებულ რეკომენდაციებს, მუნიციპალიტეტის წინაშე განსაკუთრებული ღვაწლისა და დამსახურების წერილობით მტკიცებულებებს;

ბ) გამოითხოვს და მოიპოვებს დამატებით ცნობებსა და ინფორმაციებს სახელმწიფო ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებისაგან, ასევე სხვა ნებისმიერი იურიდიული და ფიზიკური პირისაგან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით განსაზღვრული წესის შესაბამისად;

გ) სწავლობს კანდიდატურასთან დაკავშირებით შემოსულ განცხადებებს, სურვილებს, მოსაზრებებსა და წინადადებებს, ახდენს მათ შეჯერებას და იღებს გადაწყვეტილებას საპატიო მოქალაქის წოდების მისანიჭებლად.

2. კომისიის მიერ მიღებული დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ კანდიდატმა კომისიას 5 სამუშაო დღის ვადაში უნდა წარმოუდგინოს პირადობის მოწმობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ორი ფოტოსურათი ზომით 3X4-ზე და წერილობითი თანხმობა.

მუხლი 5. „საპატიო ზესტაფონელის“ და „ზესტაფონის საპატიო მოქალაქის“ წოდების მინიჭება

1. კომისიის გადაწყვეტილების გათვალისწინებით, ზესტაფონის მუნიციალიტეტის მერი გამოსცემს ბრძანებას საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

2. „საპატიო ზესტაფონელის“ და „ზესტაფონის საპატიო მოქალაქის” წოდების მოწმობისა და მედლების გაცემა ხდება საზეიმო ვითარებაში. ცერემონიალს ესწრებიან: საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს წარმომადგენლები, აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლები, საპატიო წოდების მქონე მოქალაქეები, ჟურნალისტები, გამოჩენილი ადამიანები, პროფესიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელები, მოწვეული სტუმრები, საპატიო წოდების მქონე პირთა ოჯახის წევრები და უახლოესი მეგობრები.

3. საპატიო წოდებების მინიჭება განხორციელდება წელიწადში ერთხელ „ზესტაფონლობა-ღვინის ფესტივალი “-ს დღესასწაულზე.

4. საპატიო წოდების მინიჭების შესახებ ჩანაწერები უნდა შესრულდეს სპეციალურ წიგნში სახელწოდებით – „ საპატიო წოდება“, რომლის ელექტრონული ვერსია უნდა განთავსდეს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე.

5. წიგნში ჩანაწერების შესრულებას უზრუნველყოფს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური. წიგნში აისახება საპატიო წოდების მქონე პირის შესახებ სრული ინფორმაცია (ფოტოსურათი, ბიოგრაფია და ცნობები, თუ რა დამსახურებისთვის მიენიჭა პირს ეს წოდება).

მუხლი 6. „საპატიო ზესტაფონელის” და „ზესტაფონის საპატიო მოქალაქის“ წოდების მქონე პირის უფლებები

1. საპატიო ზესტაფონელი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ადგილის მიუხედავად ზესტაფონის მუნიციპალიტეტში სარგებლობს ყველა იმ სიკეთითა და შეღავათით, რითაც სარგებლობს ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა მოქალაქე.

2. საპატიო ზესტაფონლებს აქვს სრული უფლებამოსილება:

ა) გაერთიანდნენ ერთ ან რამდენიმე საზოგადოებრივ ორგანიზაციაში ან დამოუკიდებლად შექმნან საზოგადოებრივი ორგანოები, რომელიც შეიმუშავებს მუნიციპალიტეტის სოციალ-ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის ხელშეკრულებათა პროექტებს;

ბ) მონაწილეობა მიიღონ საპატიო სტუმრებთან შეხვედრებში, დიალოგებში, დისკუსიებში, მუნიციპალიტეტის საკეთილდღეო ღონისძიებათა შემუშავებაში;

გ) ჩაერთონ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით დელეგაციებში, მონაწილეობა მიიღონ დაძმობილებულ ქალაქებთან სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის ხელშეკრულებათა პროექტის შემუშავებაში;

დ) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის წინაშე დააყენონ საკითხი ნიჭიერი, უნარიანი და კეთილსინდისიერი თანაქალაქელების თვითრეალიზაციის ხელშემწყობი პირობების შექმნის თაობაზე, მისცენ და დაასაბუთონ საკრებულოსა და მერიის წინაშე შუამდგომლობები და მიცემული რეკომენდაციები.

3. ღირსშესანიშნავ თარიღებთან და მოვლენებთან დაკავშირებით, აგრეთვე, მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში წონადი წვლილის შეტანისათვის, მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე, შეიძლება განხორციელდეს საპატიო წოდების მქონე პირთა ერთდროული ინდივიდუალური წახალისება.

მუხლი 7. „საპატიო ზესტაფონელის“ და „ზესტაფონის საპატიო მოქალაქის“ წოდების მინიჭების წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

„საპატიო ზესტაფონელის“ და „ზესტაფონის საპატიო მოქალაქის“ წოდების მინიჭების წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე.